# 15 NOIEMBRIE
# RUGĂCIUNEA
# SF.MUCENICI GURIE,SAMONA ŞI AVIV DE LA EDESA SIRIEI

## ლოცვა

ჰოდ, წმიდანო მოწამენო, აღმსარებელნო ქრისტესნო გური, სამონ და აბიბო! მხურვალენო მეოხნო და მცლოცველნო ჩუენთვის წინაშე ღმრთისა გულითა ლმობიერითა. მჭვრეტელნი ყოვლადწმიდისა ხატისა თქვენისანი სიმდაბლით გევედრებით: შეისმინეთ ხმად ცოდვილთა და უღირსთა მონათა თქვენთაგან, რომელნი ჭირთა და მწუხარებათა და განსაცდელთა შინა ვართ და უგულებელსჰყვენით მძიმენი და აურაცხელნი შეცოდებანი ჩუენნი. გარდამოგვივლინეთ მდიდარნი წყალობანი თქვენნი, აღგვადგინეთ ჩუენ ცოდვათა სიღრმეთაგან, განანათლეთ გონებანი ჩუენნი, მოამდოვრეთ ბოროტნი და კრულნი გულნი ჩუენნი, დახსენით ყოველი შური, მტერობად და განწვალებად, რომელ არს შორის ჩუენსა, გარდამოგვივლინეთ ჩუენ მშვიდობად, სიყვარული და შიში ღმრთისად, ევედრენით გულმოწყალესა ღმერთსა, რადთა მოწყალებითა თვისითა დაჰფაროს ცოდვათა ჩუენთა სიმრავლედ, დაიცვას წმიდად ეკლესია თვისი ურწმუნოებისა ერესისა და წვალებათაგან და მოჰმადლოს ერსა ჩუენსა კეთილდღეობად და ქუეყანასა ნაყოფიერებად, სიყვარული შორის მეუღლეთა, მორჩილებად შვილთა, მოთმინებად ჩაგრულთა, მჩაგვრელთა შიში ღმრთისად, მწუხარეთა

დიდსულოვნებაჲ, მოხარულთა თავშეკავებაჲ; დაგვიფაროს ჩუენ, ყოველნი ყოვლადძლიერითა მარჯუენითა თვისითა, შიმშილისაგან, სრვისა, საბრხისა, დანთქმისა, ცეცხლისა, მახვილისა, ზედა მოსლვათაგან უცხოტომთასა და ტომითისაგან ბრძოლისა და ამაოჲსა სიკვდილისაგან. რაჲთა გარემოგვზღუდოს ჩუენ მხედრობათა მიერ წმიდათა თვისთა ანგელოსთა და ჟამსა განსვლისა ჩუენისასა ამიერ სოფლითგან მათ მიერ განგვათავისუფლოს ჩუენ სასჯელისაგან ბოროტისა და საიდუმლოთა და ზეციურთა საზვერეთაგან მისთა, რაჲთა მსჯავროში წარვსდგეთ წინაშე საყდრისა დიდებულისა ღმრთისასა, სადაცა პირნი წმიდათა ანგელოსთანი ყოველთა წმიდათა თანა მარადის ადიდებენ ყოვლადწმიდასა და ყოვლადბრწყინვალესა სახელსა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.